საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გელათის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე 2025-2026 წლებში განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

თბილისი

2026

1. ზოგადი ინფორმაცია:

- **არქეოლოგიური სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაცია:**

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“. საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) ნომერი - # 204468664. მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #3.

- **არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობის მფლობელი:**

ვაჟა მამიაშვილი (პ/ნ-13001057786) - არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური კოლექციების მთავარი კურატორი.

- **არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების ადგილი:**

ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათი.

გეოგრაფიული კოორდინატები, GPS მონაცემები:

316046.06 E; 4684905.79 N (ს/კ 39.07.31.362).

- **არქეოლოგიური სამუშაოების უშუალოდ შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი:**

1. **ვაჟა მამიაშვილი** – არქეოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური განყოფილების მთავარი კურატორი. საპროექტო არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის.
2. **როლანდ ისაკაძე** – ისტორიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
3. **შალვა ბუაძე** – არქეოლოგიის დოქტორანტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის კურატორი; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების კურატორი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების მოწვეული სპეციალისტი.
4. **გიორგი კოპალიანი** - არქეოლოგი, ტოპოგრაფი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი;

5. **დავით ჯალაბაძე** - არქეოლოგიის მაგისტრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის.
6. **თეონა ბუბუტეიშვილი** – არქეოლოგიის მაგისტრი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის სპეციალისტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების მოწვეული სპეციალისტი.

არქეოლოგიურ სამუშაოებში ასევე მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტები: ნიკოლოზ ხარშილაძე; ავთანდილ ჩიტიძე; დავით ჩხეიძე; გიორგი ქაშიბაძე.

2. ძეგლის ზოგადი დახასიათება და მასზე წინა წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მიმოხილვა:

გელათის მონასტრის არქეოლოგიური კვლევის ისტორია სათავეს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს და თითქმის საუკუნენახევარს მოიცავს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კვლევები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და მოკლებული იყო ერთიან კვლევით სტრატეგიას, რაც განაპირობებდა მათი შედეგების ფრაგმენტულობას. მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო სისტემატური და მიზანმიმართული არქეოლოგიური კვლევები, რომლებიც ემყარებოდა თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს და ინტერდისციპლინარულ თანამშრომლობას.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს გიორგი წერეთელს გელათში უნახავს რომაული მონეტები და არაქრისტიანული წესით მოწყობილი სამარხები. სამონასტრო კომპლექსის დასავლეთით რომაული მონეტებისა და არაქრისტიანული წესით დამხრობილი („..სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ...“) სამარხების („...სარკოფაგი ქვითქირით შეხურული...“) შესახებ ინფორმაცია გიორგი წერეთელს მოხსენების სახით წარუდგენია სრულიად რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების V ყრილობის (1881 წ.) მოსამზადებელი კომიტეტისათვის რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, ქვეყნის ისტორიის სრულიად სხვა ეტაპზე, შესაბამისად – განსხვავებულ პირობებში, 1920 წელს მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სამლოცველოში, ე.წ. „თამარის ეკვდერში“ ექვთიმე თაყაიშვილს გაუხსნია ქვის ფილებით შეკრული აკლდამა, რომელშიც ოთხი მიცვალებულის ნაშთები აღმოჩნდა.

1939-1946 წლებში ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, მინაგო გოგსაძისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის სიმონ ყაუხჩიშვილის თაოსნობით განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების პროცესში (მონაწილეობდნენ: გიორგი ჩუბინაშვილი, ლევან რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, ვახტანგ ცინცაძე) გაიწმინდა სამონასტრო კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარე აკადემიის შენობის ნანგრევები - ინტერიერი და კარიბჭეები

აკადემიის სარდაფის სართულისა და თავდაპირველი (ავთენტური) მერხების არსებობა დადასტურებულია რუსუდან მეფისაშვილის მიერ ჩატარებული დაზვერვითი გაწმენდის შედეგად.

ბევრად უფრო გვიან, 1984 წელს, მონასტრის გარეთ (სამხრეთ-დასავლეთით) არსებულ ,,დავითის კონცხზე" ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ზურაბ წიტაიშვილის (პროფ. ვახტანგ ჯაფარიძის კონსულტაციით) მიერ ჩატარებული მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად გამოვლინდა განვითარებული შუა საუკუნეების მასალები.

მოგვიანოდ, 2007-2022 წლებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტების თანადროულად ჩატარდა სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები გამოკვლეული იქნა აკადემიის ინტერიერი და ჩრდილოეთის ეზოს ნაწილი; მცირე კვლევები ჩატარდა ,,სოხასტერზე" და სამხრეთი კარიბჭის ინტერიერში; შესწავლილი და ნაწილობრივ რეაბილიტირებული იქნა მონასტრის ტერიტორიაზე XIII საუკუნიდან 1510 წლამდე მოქმედი სადრენაჟე სისტემა და წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის ეზოს მონაკვეთი მონასტრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2007-2022 წლებში ჩატარებული სტაციონალური, სადაზვერვო, საზედამხედველო, გაწმენდითი არქეოლოგიური სამუშაოებისა და საისტორიო წყაროების შეჯერების შედეგად დაზუსტდა სამონასტრო კომპლექსის ეზოსა და მიმდებარე უბნების სტრატიგრაფია-ქრონოლოგია; გამოიყო არქეოლოგიურად აქტიური ზონები.

3. საპროექტო ძეგლზე 2025-2026 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების აღწერა:

არქეოლოგიური კვლევის შედეგები

გელათის სამონასტრო კომპლექსის სამხრეთით, მთავარი ტაძრიდან დაახლოებით 25 მ-ის დაშორებით (სურ. 1-2), G6-62 G96 -ის ჩათვლით და H6-4 კვადრატებში (სურ. 3), არქეოლოგიური კვლევის ფარგლებში გაითხარა 20×20 მ ფართობის საკვლევი მონაკვეთი. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე კულტურული ფენა არათანაბარი სიმძლავრით ვრცელდება. მონაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მთავარი ტაძრის მიმართულებით, ის თანამედროვე ჰუმუსის დაახლოებით 20 სმ სისქის ფენის ქვემოთ იწყება, ხოლო სამხრეთის მიმართულებით თანდათანობით იმატებს და ცალკეულ მონაკვეთებში 2.30 მ-ს აღწევს. კულტურული ფენის ასეთი ცვალებადი სიმძლავრე, სავარაუდოდ, განპირობებულია როგორც რელიეფის ბუნებრივი თავისებურებებით, ისე მონასტრის მრავალსაუკუნოვანი ფუნქციონირების შედეგად დაგროვილი ანთროპოგენური დანალექებით, სამშენებლო ნაშალითა და სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენების თანმიმდევრული დაგროვებით.

არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა მასშტაბური დარბაზული ნაგებობა (სურ. 4), რომელიც არქიტექტურული თავისებურებების, სტრატიგრაფიული მონაცემებისა და სამშენებლო ტექნიკის ანალიზის საფუძველზე ხანგრძლივი ექსპლუატაციისა და მრავალჯერადი გადაკეთების აშკარა კვალს ატარებს. ნაგებობის შიდა სივრცის ზომებია: აღმოსავლეთ - დასავლეთის მიმართულებით - 7.80 მ, ჩრდილოეთის კედლი - 7.30 მ, ხოლო სამხრეთის - 8.30 მ. აღნიშნული ზომები ცხადყოფს, რომ ნაგებობის გეგმა სრულად სწორი არ არის, რაც სხვადასხვა სამშენებლო ეტაპზე განხორციელებული გადაკეთებებისა და რეკონსტრუქციების შედეგია. ნაგებობის კვლევამ აჩვენა, რომ ის ერთჯერადად აგებული არქიტექტურული ობიექტი არ ყოფილა; პირიქით, მისი არსებობის განმავლობაში არაერთი სამშენებლო ჩარევა განხორციელდა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც ინტერიერის, ისე ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების სახე (სურ. 5-6).

ნაგებობის ინტერიერში გამოვლინდა სამი ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნული იატაკის დონე, რომლებიც სხვადასხვა სამშენებლო ფაზას წარმოადგენს. იატაკები ერთმანეთისგან საშუალოდ 5-10 სმ-ით განსხვავდება და ყველა მათგანი შესრულებულია წვრილი ქვის ნატეხებისა და კირის ხსნარის გამოყენებით. მათი ზედაპირი გამოირჩევა განსაკუთრებული სიმტკიცით და მაღალხარისხიანი სამშენებლო ტექნიკით. მსგავსი იატაკები, როგორც წესი, დამახასიათებელია ინტენსიურად გამოყენებული საზოგადოებრივი ნაგებობებისთვის, სადაც ექსპლუატაციის პროცესში იატაკის პერიოდული განახლება აუცილებლობას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ყოველი ახალი სამშენებლო ეტაპის დროს ძველი იატაკის დემონტაჟი არ მომხდარა; ახალი საფარი უშუალოდ ძველის ზედაპირზე იგებოდა. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ნაგებობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად ფუნქციონირებდა და მისი ძირითადი დანიშნულება, სავარაუდოდ, არსებითად არ შეცვლილა (სურ. 7-8).

ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა მეორე კარის ღიობი, რომლის სიგანე დაახლოებით 1.35 მ-ს შეადგენს. ორი დამოუკიდებელი შესასვლელის არსებობა მიანიშნებს, რომ შენობის შიდა სივრცე ფუნქციურად იყო დიფერენცირებული და ადამიანთა გადაადგილება სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდებოდა. მსგავსი გადაწყვეტა დამახასიათებელია საზოგადოებრივი დანიშნულების ფართო დარბაზული ნაგებობებისთვის, სადაც საჭირო იყო როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სივრცეების ერთმანეთთან დაკავშირება (სურ. 7).

განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლეთი კედელი, რომელიც სამშენებლო ანალიზის საფუძველზე მინიმუმ ორჯერ არის გადაკეთებული და მნიშვნელოვნად გასქელებული. მისი სისქე 2.50 მ-ს აღწევს. კედლის გასქელება, სავარაუდოდ, დაკავშირებული იყო კონსტრუქციის გამაგრებასთან, გადახურვის სისტემის შეცვლასთან ან ნაგებობის ფუნქციური გადაგეგმარების აუცილებლობასთან. დასავლეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთში გამოვლინდა კირის ხსნარით

საგულდაგულოდ შელესილი თაროსებრი კონსტრუქცია, რომლის ზომებია: სიგრძე - 3.20 მ, სიგანე - 1.80 მ. მისი ზუსტი დანიშნულების განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა, სავარაუდოდ, იგი გამოიყენებოდა ჭურჭლის, საკვები მარაგის ან სხვა საჭირო ინვენტარის განსათავსებლად (სურ. 4-5; 10-11).

ნაგებობის სამხრეთი კედლზე გამოვლინდა კიდევ ერთი კარის ღიობი, რომლის სიგანეა 1.30 მ. ზღურბლზე მკაფიოდ იკითხება ხის კარის ჩარჩოს ჩასასმელი ბუდე, რომლის სიგრძეა დაახლოებით 1.50 მ, სიგანე - 25 სმ, ხოლო სიღრმე - 10 სმ. აღნიშნული დეტალი მოწმობს, რომ კარის ღიობი აღჭურვილი ყოფილა მძლავრი ხის კარით. კარის ორივე მხარეს გამოვლინდა პილასტრების ნაშთები (სიმაღლე - 0.80 მ, სიგრძე - 0.50 მ, სისქე - 0.30 მ), რომლებზეც, სავარაუდოდ, გადადიოდა თაღოვანი კონსტრუქცია. კარის ღიობში დაფიქსირდა კირით შელესილი იატაკის გაგრძელება, რომელიც სამხრეთის მიმართულებით ვრცელდება, თუმცა თანამედროვე განაშენიანების არსებობის გამო აღნიშნული მონაკვეთის სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევა ვერ განხორციელდა, არსებული კელია განთავსებულია მცირე პლატფორმაზე, რომლის ქვემოთ იკვეთება კედლის ნაშთები. აღნიშნული სტრუქტურები, არსებული მონაცემების საფუძველზე, მაღალი ალბათობით წარმოადგენს ნაგებობის სამხრეთი მონაკვეთის გაგრძელებას. (სურ. 12-13).

გამოვლენილი კარის ღიობის არქიტექტურული გადაწყვეტა, პილასტრების არსებობა და თაღოვანი კონსტრუქციის კვალი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული გასასვლელი დარბაზულ ნაგებობას აკავშირებდა კიდევ ერთ, არქიტექტურულად უფრო წარმომადგენლობით სივრცესთან. სავარაუდოდ, გადასვლა ხდებოდა თაღნარით გაფორმებული მონაკვეთის გავლით, რაც კომპლექსის შიდა სივრცეების სოციალურ/იერარქიულ განსხვავებას და ამ მიმართულებით მდებარე ნაგებობის განსაკუთრებულ ფუნქციურ მნიშვნელობაზე შეიძლება მიუთითებდეს.

სამხრეთი კედლის შიდა პირზე გამოვლინდა თაროსებრი ნიში, რომლის სიგანეა 0.85 მ, სიღრმე - 0.80 მ, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე - 0.35 მ. მსგავსი ნიშები შუა საუკუნეების მონასტრულ ნაგებობებში ფართოდ გამოიყენებოდა ჭურჭლის, სანათების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სხვა ინვენტარის განსათავსებლად, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს შენობის ინტენსიურ პრაქტიკულ გამოყენებაზე (სურ. 14).

განათხრილი ფართობის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თანამედროვე კელიის საძირკვლის მიმდებარედ, გამოვლინდა კიდევ ერთი ნაგებობის გარე პერიმეტრზე მოწყობილი კარის ღიობი, კარგად ნათალი ქვის კვადრებით ნაგები ზღურბლითა და მოლესილი იატაკით. აღნიშნული სტრუქტურა უშუალოდ ებჯინება გამოვლენილი ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის ფასადს და სამხრეთის მიმართულებით გრძელდება, რაც ამ მონაკვეთში დამატებითი სამშენებლო კომპლექსის არსებობაზე მიუთითებს (სურ. 15).

ნაგებობის ინტერიერის კედლები მაღალი ხარისხის კირის ხსნარით არის შელესილი, რომლის ფრაგმენტები ცალკეულ მონაკვეთებში კარგად არის შემორჩენილი. კირით შელესვის კვალი შეინიშნება ასევე ნაგებობის გარე ფასადზეც, რაც ადასტურებს, რომ შელესილი იყო როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერის კედლები.

ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიის სტრატიგრაფიულმა კვლევამ მნიშვნელოვანი მონაცემები გამოავლინა. ნაგებობის ჩრდილოეთით, გელათის მთავარი ტაძრის მიმართულებით, კულტურული ფენა თანამედროვე ჰუმუსის მხოლოდ 10-20 სმ სისქის ფენის ქვემოთ იწყება (სურ. 16), რაც მიუთითებს, რომ ამ მონაკვეთში შუა საუკუნეების ზედაპირი თანამედროვე რელიეფთან თითქმის თანხვედრაშია და ტერიტორია შედარებით ნაკლებად არის დაფარული გვიანდელი დანალექებით. ანალოგიური ვითარება შეინიშნება ნაგებობის სამხრეთითაც, თუმცა სამხრეთის მიმართულებით კულტურული ფენის სიმძლავრე თანდათან იზრდება და ცალკეულ მონაკვეთებში 2.50 მ-ს აღწევს (სურ. 17). აღნიშნული გარემოება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია როგორც რელიეფის ბუნებრივ დაქანებასთან, ისე მრავალსაუკუნოვანი ექსპლუატაციის შედეგად დაგროვილ ანთროპოგენურ დანალექებთან, სამშენებლო ნაშალთან და კულტურულ ფენებთან. კულტურული ფენის ასეთი სიმძლავრე საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ნაგებობის სამხრეთით ჯერ კიდევ შემორჩენილია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კომპლექსები, რომელთა კვლევა არსებითად გააფართოებს წარმოდგენას გელათის სამონასტრო კომპლექსის სამხრეთი ნაწილის გეგმარებისა და განვითარების შესახებ.

არქეოლოგიურმა გათხრებმა ასევე გამოავლინა, რომ ნაგებობის წინ მოწყობილი ყოფილა კარგად მოწესრიგებული ღია სივრცე, რომლის იატაკი მცირე ზომის ქვებით მოგებული ქვაფენილით იყო დაფარული. აღნიშნულ ეზოში გამოვლინდა დიდი ზომის, საგანგებოდ დამუშავებული ქვებით მოწყობილი ბილიკები, რომლებიც უშუალოდ ნაგებობის კარის ღიობებისკენ მიემართებოდა. ეს ფაქტი მოწმობს, რომ შენობა ჩართული იყო მონასტრის შიდა საკომუნიკაციო სისტემაში და მისკენ მუდმივი გადაადგილება ხორციელდებოდა. ქვაფენილი და მისასვლელი ბილიკები არა მხოლოდ ტერიტორიის კეთილმოწყობაზე მიუთითებს, არამედ ხაზს უსვამს ნაგებობის მნიშვნელოვან ფუნქციურ დატვირთვას მონასტრის ყოველდღიურ ცხოვრებაში (სურ. 18-19).

ნაგებობის ფუნქციური ინტერპრეტაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გათხრების შედეგად მოპოვებულ ნივთიერ მასალას. შიდა სივრციდან და სხვადასხვა სტრატიგრაფიული ფენიდან გამოვლინდა მრავალრიცხოვანი „მასობრივი“ არქეოლოგიური მონაპოვარი, რომლის ძირითად ნაწილს კერამიკული ნაწარმი წარმოადგენს. აღმოჩენილია სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის ჯამები, დოქები, დიდი ზომის ლუთერიის ტიპის ლანგრები, ქვაბ-ქოთნები, სამზარეულო ჭურჭელი და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების კერამიკა. არქეოლოგიური მასალის რაოდენობრივი სიჭარბე და სახეობრივი მრავალფეროვნება მიუთითებს, რომ ნაგებობაში

აქტიური სამეურნეო საქმიანობა მიმდინარეობდა და იგი ერთჯერადი ან ეპიზოდური გამოყენების ობიექტი არ ყოფილა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჯამებისა და ქვაბ-ქოთნების მნიშვნელოვან ნაწილზე დაფიქსირდა ღია ცეცხლზე გამოყენების მკაფიო კვალი. ჭურჭლის გარე ზედაპირზე შეინიშნება ძლიერი დაწვის კვალი და თერმული ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები, რაც ადასტურებს მათ უშუალო გამოყენებას საკვების მომზადების პროცესში. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ნაგებობაში საკვები არა მხოლოდ მოიხმარებოდა, არამედ მზადდებოდა კიდეც. კერამიკული მასალის კონცენტრაცია უშუალოდ ნაგებობის შიდა სივრცეში და მისი კავშირი იატაკების სხვადასხვა სამშენებლო ფაზასთან მიუთითებს, რომ შენობის ფუნქცია არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში არსებითად უცვლელი რჩებოდა.

ნივთიერი მასალის ტიპოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ აღმოჩენილი კერამიკა ძირითადად XIII–XV საუკუნეებით თარიღდება. უფრო გვიანდელი პერიოდის მასალის პრაქტიკულად არ არსებობა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ნაგებობის ფუნქციონირების ბოლო ეტაპი სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება და მისი გამოყენება, დიდი ალბათობით, XV საუკუნის მიწურულს შეწყდა. აღნიშნული ქრონოლოგიური სურათი სრულ თანხვედრაშია სტრატიგრაფიულ მონაცემებთან და ნაგებობის სამშენებლო ისტორიასთან.

არქიტექტურული, სტრატიგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების კომპლექსური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოითქვას საფუძვლიანი მოსაზრება, რომ გამოვლენილი ნაგებობა გელათის სამონასტრო კომპლექსის სატრაპეზოს წარმოადგენდა. ამ ინტერპრეტაციას ამყარებს ფართო დარბაზული სივრცე, მრავალჯერადი სამშენებლო რეკონსტრუქციები, რამდენიმეჯერ განახლებული იატაკები, კედლებში მოწყობილი ნიშები და თაროები, კეთილმოწყობილი ეზო და მისასვლელი ბილიკები, აგრეთვე სასუფრე და სამზარეულო დანიშნულების კერამიკის განსაკუთრებული სიჭარბე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დიდი ზომის ლუთერიის ტიპის ლანგრების, მრავალრიცხოვანი ჯამების, დოქებისა და ქვაბ-ქოთნების აღმოჩენა, ასევე მათზე დაფიქსირებული ცეცხლზე გამოყენების კვალი, რაც უშუალოდ მიუთითებს საკვების მომზადების, შენახვის და განაწილებაზე. შუა საუკუნეების მონასტრულ ცხოვრებაში სატრაპეზო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაგებობას წარმოადგენდა, სადაც სამმოს ყოველდღიური ტრაპეზი იმართებოდა. სწორედ ამიტომ, გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა და არქიტექტურული მონაცემები ერთმანეთთან სრულ თანხვედრაშია და ქმნის ფუნქციური ინტერპრეტაციისათვის მყარ საფუძველს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობის საბოლოო ფუნქციური იდენტიფიკაცია დამატებით არქეოლოგიურ კვლევებს, სამშენებლო ფაზების დაზუსტებასა და ნივთიერი მასალის სრულ ანალიზს საჭიროებს, დღეისათვის არსებული მონაცემების ერთობლიობა იძლევა საფუძველს, მაღალი ალბათობით, იგი გელათის სამონასტრო კომპლექსის

სატრაპეზოდ იქნეს მიჩნეული. სამხრეთით არსებული მძლავრი კულტურული ფენა, ნაგებობის წინ გამოვლენილი ქვაფენილიანი ეზო, მისასვლელი ბილიკები, შიდა სივრცეში აღმოჩენილი მასობრივი სამზარეულო და სასუფრე ინვენტარი, აგრეთვე ნაგებობის არქიტექტურული თავისებურებები მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს მონასტრის ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან, ინტენსიურად გამოყენებულ ნაგებობასთან.

ამ ინტერპრეტაციას დამატებით ამყარებს გათხრების შედეგად გამოვლენილი სტრატიგრაფიული სურათი, ნაგებობის შემორჩენილი კედლების სიმაღლე და კულტურული ფენების ურთიერთმიმართება, რომლებიც საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ გვიან შუა საუკუნეებში მონასტრის ეს ნაწილი საგანგებოდ იქნა მოსწორებული და ერთიან ჰორიზონტალურ დონეზე მოყვანილი. სავარაუდოდ, აღნიშნული სამუშაოები დაკავშირებული იყო ტერიტორიის ხელახალ დაგეგმარებასა და ფუნქციურ გადაკეთებასთან, რასაც მოჰყვა უფრო ადრეული სამშენებლო ფენების და მათ შორის მოზაიკის ქვების, გადაადგილება და სხვადასხვა კულტურულ ფენაში მათი მეორადი განთავსება. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მონასტრის სამხრეთი ნაწილი გვიან შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების არეალს წარმოადგენდა.

ეზოს სტრუქტურა და არქიტექტურული მოწყობა

არქეოლოგიურმა კვლევამ მნიშვნელოვანი მონაცემები გამოავლინა ნაგებობის მიმდებარე ეზოს გეგმარებისა და კეთილმოწყობის შესახებ. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ნაგებობის წინ არსებობდა საგანგებოდ მოწყობილი ღია ეზო, რომლის ზედაპირი მცირე ზომის რიყისა და ნატეხი ქვებით დაგებული ქვაფენილით იყო დაფარული. ქვაფენილი ქმნიდა ერთიან, კარგად გასწორებულ ზედაპირს, რაც მოწმობს, რომ ეზო სპონტანურად წარმოქმნილი სივრცე კი არა, არამედ წინასწარ დაგეგმილი და მონასტრის საერთო არქიტექტურულ სისტემაში ორგანულად ინტეგრირებული ელემენტი იყო.

ეზოს ქვაფენილზე გამოვლინდა დიდი ზომის, საგანგებოდ დამუშავებული ქვებით მოწყობილი რამდენიმე მისასვლელი ბილიკი, რომლებიც უშუალოდ ნაგებობის კარის ღიობებს უკავშირდებოდა. მათი განლაგება, კონსტრუქციული გადაწყვეტა და დაგების მაღალი ხარისხი მიუთითებს, რომ ისინი კომპლექსის შიდა საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა და უზრუნველყოფდა ნაგებობასთან მოსახერხებელ, ორგანიზებულ და, სავარაუდოდ, ინტენსიურ მიმოსვლას. ბილიკების მიმართულებები ნათლად ასახავს ეზოს ფუნქციურ ორგანიზაციას და მოწმობს, რომ ნაგებობა მონასტრის სივრცობრივ სტრუქტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძი იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეზოში დაფიქსირდა მცირე ზომის სანიაღვრე რუების სისტემაც, რომელიც ქვაფენილთან ერთად მწყობრ საინჟინრო გადაწყვეტას ქმნიდა. აღნიშნული რუები განკუთვნილი იყო ატმოსფერული ნალექისა და

ზედაპირული წყლების ორგანიზებული გადინებისთვის, რაც ხელს უშლიდა ეზოს დატბორვასა და ქვაფენილის დაზიანებას. მსგავსი ელემენტების არსებობა მოწმობს, რომ ეზოს კეთილმოწყობისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არა მხოლოდ გადაადგილების კომფორტს, არამედ წყლის მართვის ეფექტიან სისტემასაც, რაც შუა საუკუნეების მონასტრული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ მაღალ სამშენებლო კულტურაზე მიუთითებს (სურ. 20).

ქვაფენილი, მისასვლელი ბილიკები და სანიაღვრე ქსელი ერთობლიობაში წარმოადგენდა ურთიერთდაკავშირებულ ინფრასტრუქტურულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა ნაგებობის სრულფასოვან ფუნქციონირებას. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ ნაგებობის მიმდებარე სივრცე კომპლექსურად იყო დაგეგმილი და კეთილმოწყობილი.

კირის ჩასაქრობი რეზერვუარები (საკირეები)

გათხრების პროცესში ეზოს ქვაფენილის დონეზე გამოვლინდა სამი მართკუთხა ფორმის საკირე, რომლებიც სტრატიგრაფიულად ერთსა და იმავე სამშენებლო ჰორიზონტს მიეკუთვნება და კონსტრუქციული ნიშნებით ერთმანეთის მსგავს სტრუქტურებს წარმოადგენს.

საკირე №1 გამოვლინდა კვადრატში G6 (74-75). მისი სიგრძე შეადგენს დაახლოებით 2.50 მ-ს, ხოლო სიგანე - 0.50 მ-ს. სტრუქტურა ორიენტირებულია ჩრდილოეთ–სამხრეთის მიმართულებით, ნაგებია და მთლიანად შევსებულია კირის მასით, რომლის შიგნითაც ფიქსირდება კირის მკვეთრი და მასიური კონცენტრაცია. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ საკირე მოწყობილია უშუალოდ ეზოს ქვაფენილზე, დამატებითი მომზადებული საფუძვლის გარეშე. აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ იგი დაკავშირებული იყო სამშენებლო პროცესებთან და წარმოადგენდა კირის მომზადების ან დროებითი დაგროვებისათვის განკუთვნილ სტრუქტურას (სურ. 21).

საკირე №2 გამოვლინდა კვადრატში G6 (62; 72), ეზოს იატაკის დონეზე (კონტექსტი 006). მისი სიგრძეა დაახლოებით 2.57 მ, ხოლო სიგანე - 0.56 მ. სტრუქტურა ასევე ორიენტირებულია ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე, ნაგებია და შევსებულია კირის მასით, რომლის შიგნითაც შეინიშნება კირის ინტენსიური კონცენტრაცია. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ იგი უშუალოდ ეზოს ქვაფენილზეა მოწყობილი, წინასწარ მომზადებული საფუძვლის გარეშე. საკირის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიმეტრზე მთლიანად ფიქსირდება მცირე ზომის ქვების წყობა, რომელიც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სტრუქტურა თავდაპირველად შემოზღუდული იყო. ქვების ნაწილი ჩამოშლილია საკირის შიდა სივრცეში, რაც, სავარაუდოდ, სტრუქტურის დაშლის ან მისი ფუნქციონირების დასრულების შედეგია. საკირის აღმოსავლეთ მხარეს გრძელდება

კირის თხელი ფენა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს მისი გამოყენების არეალის ან სამუშაო სივრცის გავრცელებაზე (სურ. 22).

საკირე №3 გამოვლინდა კვადრატში G6-84, ნაგებობის აღმოსავლეთ კედლის უშუალო სიახლოვეს. მისი სიგრძე შეადგენს დაახლოებით 2.38 მ-ს, ხოლო სიგანე - 0.57 მ-ს. სტრუქტურა კონსტრუქციული ნიშნებითა და ზომებით თითქმის სრულად იმეორებს პირველი და მეორე საკირეების მახასიათებლებს. იგი ასევე მოწყობილია ეზოს ქვაფენილზე, დამატებითი საფუძვლის გარეშე და შევსებულია კირის მასით, რაც ადასტურებს მის ერთსა და იმავე ტექნოლოგიურ დანიშნულებას (სურ. 23).

სამივე საკირის საერთო კონსტრუქციული თავისებურებები, იდენტური სტრატიგრაფიული მდებარეობა და კირის მასის ინტენსიური კონცენტრაცია საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ისინი ერთიანი სამშენებლო პროცესის ფარგლებში ფუნქციონირებდა. მათი ხასიათი და განლაგება მიუთითებს, რომ აღნიშნული სტრუქტურები, სავარაუდოდ, გამოიყენებოდა კირის მომზადების, შენახვის ან დროებითი დაგროვებისათვის და წარმოადგენდა გელათის მონასტრის კომპლექსში მიმდინარე სამშენებლო საქმიანობის დამხმარე ინფრასტრუქტურას.

4. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი ნივთიერი მასალა

სამზარეულო კერამიკა

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალის მნიშვნელოვან ნაწილს სამზარეულო და სასუფრე დანიშნულების კერამიკა წარმოადგენს, რომელიც ნაგებობის ფუნქციური ინტერპრეტაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. გამოვლენილი კერამიკული კომპლექსი მრავალფეროვანია როგორც ფორმების, ისე დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით და წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებით.

აღმოჩენილ მასალაში გამოვლინდა დოქების, კეცების, ჯამების, ლუთერიის ტიპის დიდი ზომის ლანგრებისა და მცირე ზომის ქვევრისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 24-27). აღნიშნული კერამიკის უმეტესი ნაწილი დამზადებულია ადგილობრივი თიხისაგან, მეთუნის ჩარხზე, გამოირჩევა კარგად გამომწვარი კეცითა და მაღალი ხარისხის ტექნოლოგიური დამუშავებით. ჭურჭლის მნიშვნელოვან ნაწილზე შეინიშნება ხანგრძლივი ექსპლუატაციის კვალი (სურ. 28-32).

სამზარეულო კერამიკასთან ერთად აღმოჩენილია სასუფრე დანიშნულების მაღალი ხარისხის კერამიკული ნაწარმიც. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მომწვანო-მოყავისფრო ჭიქურით დაფარული მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, რომლებიც შუა საუკუნეების ქართული კერამიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ჯგუფს მიეკუთვნება (სურ. 33. 2; 5). გარდა ამისა, გამოვლენილია იმპორტული ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტები (სურ. 33. 1; 3), აგრეთვე კობალტის ლურჯი დეკორით შემკული ჯამები და მოთეთრო ფერის ანგობით დაფარული ჯამების ფრაგმენტები, რომლებიც გამოირჩევა როგორც დამზადების მაღალი ტექნოლოგიური დონით, ისე დეკორატიული შესრულებით (სურ. 33. 6-7). ასეთი მასალის არსებობა ადასტურებს, რომ ადგილობრივი წარმოების კერამიკასთან ერთად გელათის მონასტერში გამოიყენებოდა იმპორტული, მაღალი ხარისხის სასუფრე ჭურჭელიც.

გამოვლენილი სამზარეულო და სასუფრე კერამიკის მრავალფეროვნება, მათი ტექნოლოგიური თავისებურებები და აღმოჩენის არქეოლოგიური კონტექსტი ცხადყოფს, რომ ნაგებობაში ინტენსიური სამეურნეო საქმიანობა მიმდინარეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამზარეულო ჭურჭლის სიჭარბე და მათზე დაფიქსირებული ექსპლუატაციის კვალი, რაც პირდაპირ მიუთითებს საკვების მომზადების, შენახვისა და მოხმარების პროცესებთან მათ უშუალო კავშირზე. ადგილობრივი წარმოების კერამიკასთან ერთად მაღალი ხარისხის იმპორტული მოჭიქული და ფაიანსის ნაწარმის არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გელათის მონასტრის, როგორც შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

სასულიერო და კულტურული ცენტრის, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და ფართო კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მოჭიქული კერამიკის, იმპორტული ფაიანსისა და კობალტის ლურჯი დეკორით შემკული ჯამების ფრაგმენტები ტიპოლოგიური ნიშნების საფუძველზე კარგად თარიღდება XII-XIV საუკუნეებით. ამავე დროს, მოუჭიქავი სამზარეულო კერამიკის - დოქების, კეცების, ჯამების, ლუთერიის ტიპის ლანგრებისა და მცირე ზომის ქვევრისებრი ჭურჭლის - ქრონოლოგიური დიაპაზონი უფრო ფართოა და ძირითადად XII–XV საუკუნეებს მოიცავს[1].

სამშენებლო კერამიკა

არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა სამშენებლო კერამიკის მრავალფეროვანი მასალა, რომელიც წარმოდგენილია ბორტიანი კრამიტებისა და სარკმლის ალათების ფრაგმენტებით. აღნიშნული მასალა აღმოჩენილია როგორც ნაგებობის, ისე მისი მიმდებარე ტერიტორიის კულტურულ ფენებში, თუმცა ამ ეტაპზე არსებული მონაცემები არ იძლევა შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს, ეკუთვნოდა თუ არა იგი უშუალოდ გამოვლენილ დარბაზულ ნაგებობას. არ არის გამორიცხული, რომ სამშენებლო კერამიკის ნაწილი დაკავშირებული იყოს მონასტრის სხვა ნაგებობებთან ან ტერიტორიის მრავალსაუკუნოვანი სამშენებლო, რეკონსტრუქციული და დანგრევის პროცესების შედეგად მეორად კონტექსტში აღმოჩენილ მასალას წარმოადგენდეს.

გამოვლენილ მასალაში რაოდენობრივად ჭარბობს ბორტიანი მოჭიქული კრამიტების ფრაგმენტები. ისინი წარმოდგენილია მომწვანო, მოლურჯო, მოყავისფრო და მოყვითალო შეფერილობის ნიმუშებით, რომელთა ნაწილზე შემორჩენილია დუღაბის კვალი. ეს გარემოება მოწმობს, რომ კრამიტები ნაგებობათა გადახურვის სისტემაში გამოიყენებოდა და კონსტრუქციაზე დუღაბით იყო დამაგრებული. ურთიერთ განსხვავებული შეფერილობა და ტექნოლოგიური თავისებურებები ასახავს გელათის სამონასტრო კომპლექსში შუა საუკუნეების განმავლობაში გამოყენებული სამშენებლო კერამიკის ტრადიციებს (სურ. 34 – 36[4-11]).

სამშენებლო კერამიკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს სარკმლის ალათები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ჭვირული (აჟურული), ისე სადა,

---

[1] ლომთათიძე გიორგი, *საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით.* თბილისი: „მეცნიერება“, 1977; მიწიშვილი მარინე, *მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში (IX-XIII სს.).* თბილისი: „მეცნიერება“, 1979; ჭილაშვილი ლევან, *ძველი გავაზი. (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა).* თბილისი: „მეცნიერება“, 1975.

მრგვალი ფორმის ნიმუშებით. აღნიშნული ელემენტები გამოიყენებოდა სარკმლის ღიობებში მინის დასამაგრებლად და შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციულ დეტალებს მიეკუთვნება. მათი არსებობა კომპლექსში განვითარებული სამშენებლო ტექნოლოგიებისა და მაღალი ხარისხის არქიტექტურული გადაწყვეტების არსებობას ადასტურებს (სურ. 37).

ქრონოლოგიურად აღნიშნული სამშენებლო კერამიკა, არსებული პარალელებისა და ტექნოლოგიური ნიშნების საფუძველზე, ძირითადად XII–XV საუკუნეებით თარიღდება და შეესაბამება გელათის სამონასტრო კომპლექსში გამოვლენილ განვითარებულ შუა საუკუნეების სამშენებლო ტრადიციებს[2]. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე შეუძლებელია ამ მასალის უშუალოდ აღმოჩენილ დარბაზულ ნაგებობასთან დაკავშირება, რადგან იგი მიღებულია ფართო კულტურული ფენებიდან და არ ფიქსირდება მკაფიოდ გამოხატულ პირველადი გამოყენების კონტექსტში. შესაბამისად, სამშენებლო კერამიკისა და ნაგებობის ურთიერთმიმართების დაზუსტება მომავალ არქეოლოგიურ კვლევებსა და მასალის დეტალურ ტექნოლოგიურ ანალიზს საჭიროებს.

მოზაიკის ქვები

არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა მოზაიკის ქვების, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა ფერისა და ზომის ნიმუშებით. აღმოჩენილ მასალაში ჭარბობს მომწვანო, მოლურჯო და მოყვითალო ფერის მოზაიკის ქვები, რომლებიც დამზადებულია ფერადი მინის მასისგან (სურ. 38).

მოზაიკის ქვები ერთ კონცენტრირებულ ადგილზე არ აღმოჩენილა. ისინი მიმოფანტული იყო როგორც ნაგებობის წინ არსებული ეზოს დონეზე, ისე ნაგებობის ინტერიერის სხვადასხვა მონაკვეთში. მათი გაფანტული გავრცელება მიუთითებს, რომ აღმოჩენის მომენტისათვის ისინი მეორად მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავდაპირველი მდებარეობა დარღვეული იყო. აღნიშნული გარემოება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ნაგებობის მრავალჯერად გადაკეთებასთან, ნგრევით პროცესებთან ან ტერიტორიის შემდგომ სამშენებლო საქმიანობასთან, რის შედეგადაც მოზაიკის ფრაგმენტები თავდაპირველი ადგილიდან გადაადგილდა და სხვადასხვა კულტურულ ფენაში აღმოჩნდა.

მოზაიკის ქვების აღმოჩენა ნაგებობის ინტერიერისა და ეზოს სხვადასხვა მონაკვეთში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ისინი თავდაპირველი მდებარეობიდანაა გადაადგილებული და მეორად მდგომარეობაშია აღმოჩენილი.

---

[2] ჯღამაია ჯამლეთ, *სამშენებლო კერამიკა ფეოდალურ ხანის საქართველოში.* თბილისი: „მეცნიერება“, 1980.

სამეურნეო ორმო და მასში გამოვლენილი საეკლესიო დანიშნულების ნივთიერი მასალა

ნაგებობის გარე პერიმეტრზე, სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, თანამედროვე ზედაპირიდან დაახლოებით 0.30 მ (ზ.დ. 398.40) სიღრმეზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სამეურნეო ორმო, რომლის შევსებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის ნივთიერი მასალა აღმოჩნდა. ორმოში ერთ კონტექსტში იყო თავმოყრილი საეკლესიო დანიშნულების მრავალფეროვანი არტეფაქტები, მათ შორის ხატების მოოქრული ფირფიტების ფრაგმენტები, ამეთვისტოს ჩასამაგრებელი თვალი, ვერცხლის ფირფიტები, ბრინჯაოს დეტალები, მოზაიკის ქვები, სადაფით ორნამენტირებული ფირფიტები, სარკმლის მინის ფრაგმენტები და მინის ჭურჭლის ნატეხები (სურ. 39-41). მასალის მრავალფეროვნება და მისი ერთ კონტექსტში თავმოყრა ცხადყოფს, რომ ორმოში შემთხვევითი ნაყარი არ არის წარმოდგენილი, არამედ იგი წარმოადგენს ერთიანი მოვლენის შედეგად დაგროვებულ კომპლექსს.

აღნიშნული ნივთების ხასიათი, მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები და მათი აშკარად გამოხატული საეკლესიო დანიშნულება საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ისინი გელათის მთავარი ტაძრის ინტერიერის მოწყობას ან მის არქიტექტურულ დეკორს ეკუთვნოდა. სავარაუდოდ, ეს ელემენტები თავდაპირველი ფუნქციის დაკარგვის შემდეგ მეორადად აღმოჩნდა ორმოში. მსგავსი არქეოლოგიური კონტექსტი, როგორც წესი, დაკავშირებულია ტაძრების სარემონტო, რეკონსტრუქციულ ან აღდგენით სამუშაოებთან, აგრეთვე დაზიანებული არქიტექტურული ელემენტებისა და საეკლესიო ინვენტარის ჩანაცვლების პროცესთან, როდესაც ფუნქციადაკარგული მასალა ერთ ადგილას იყრიდა თავს. შესაბამისად, ორმოში აღმოჩენილი მასალა, დიდი ალბათობით, ასახავს გელათის მთავარ ტაძარში განხორციელებული სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად დაგროვებულ მეორად ნაყარს ან ნგრევის ეტაპთან დაკავშირებულ მასალას.

ნივთიერი მასალის ანალიზი და მისი აღმოჩენის არქეოლოგიური კონტექსტი მიუთითებს, რომ ორმოს შევსება, სავარაუდოდ, XVIII–XIX საუკუნეებში განხორციელდა. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული მასალა უკავშირდებოდეს გელათის მთავარი ტაძრის დაზიანების ერთ-ერთ ეტაპს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო ძლიერი მიწისძვრით, ხანძრით, კონსტრუქციული ავარიით ან სხვა ნგრევითი პროცესით. თუმცა, არსებული მონაცემების საფუძველზე ამ მოვლენების ზუსტი მიზეზის განსაზღვრა შეუძლებელია.

განსაკუთრებით საყურადღებოა მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა ნაწილზე მკაფიოდ შეინიშნება მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების კვალი. მინის ზედაპირზე დაფიქსირებული დეფორმაცია, ფერის ცვლილება და ნაწილობრივი გადნობის ნიშნები მიუთითებს, რომ ეს ნივთები ინტენსიური თერმული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. აღნიშნული გარემოება შესაძლოა უკავშირდებოდეს ხანძარს.

დასკვნა

2025-2026 წლებში გელათის სამონასტრო კომპლექსის სამხრეთ ნაწილში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოავლინა და არსებითად გააფართოვა წარმოდგენა მონასტრის ამ მონაკვეთის სივრცითი ორგანიზების, არქიტექტურული განვითარების, სამშენებლო ისტორიისა და ფუნქციური დანიშნულების შესახებ. კვლევის შედეგად გამოვლინდა მასშტაბური დარბაზული ნაგებობა, კეთილმოწყობილი ეზო, ქვაფენილი, მისასვლელი ბილიკები, საკირეები, სამეურნეო ორმოები და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა, რამაც შესაძლებელი გახადა ტერიტორიის განვითარების ძირითადი ეტაპების თეორიული რეკონსტრუქცია და ცალკეული სამშენებლო ფაზების გამოკვეთა.

არქიტექტურული, სტრატიგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების ერთობლივი ანალიზი საფუძველს იძლევა, მაღალი ალბათობით, გამოვლენილი ნაგებობა გელათის სამონასტრო კომპლექსის სატრაპეზოდ იქნეს მიჩნეული. ამ ინტერპრეტაციას ამყარებს ნაგებობის გეგმარება, მრავალჯერადი სამშენებლო ფაზები, რამდენიმეჯერ განახლებული იატაკები, კედლებში მოწყობილი ნიშები და თაროები, კეთილმოწყობილი ეზო და მისასვლელი ბილიკები, აგრეთვე აღმოჩენილი სამზარეულო დანიშნულების მრავალრიცხოვანი კერამიკა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი XII–XV საუკუნეებით თარიღდება. ნაგებობის ინტერიერში გამოვლენილი ,,მასობრივი“ კერამიკული მასალა და მასზე დაფიქსირებული ექსპლუატაციის კვალი დამატებით მიუთითებს მის ინტენსიურ გამოყენებასა და სამეურნეო ფუნქციაზე.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილმა სამშენებლო კერამიკამ, მოზაიკის ქვებმა და სამეურნეო ორმოში აღმოჩენილმა საეკლესიო დანიშნულების ნივთიერმა მასალამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა როგორც მონასტრის სამშენებლო ტრადიციების, ისე მისი შემდგომი გადაკეთებებისა და განვითარების შესახებ. ამავე დროს, სტრატიგრაფიულმა დაკვირვებებმა საფუძველი შექმნა მონასტრის სამხრეთი ნაწილის განვითარების ცალკეული ეტაპების რეკონსტრუქციისათვის და აჩვენა, რომ გვიან შუა საუკუნეებში აღნიშნულ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდა.

კვლევის შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა და ნაგებობათა კომპლექსის მონაცემები მნიშვნელოვნად ავსებს ცოდნას გელათის სამონასტრო კომპლექსის არქიტექტურის, სამეურნეო ცხოვრების, სამშენებლო ისტორიისა და ფუნქციური დატვირთვის შესახებ.

5. **არქეოლოგიური სამუშაოების ვადები:**

2026 წლის 14 მისიდან 2026 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

- **ინფორმაცია გამოვლენილი მოძრავი ობიექტების ტრანსპორტირებისა და საცავში განთავსების შესახებ:**

ამ ეტაპზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა დროებით განთავსებულია გელათის სამონასტრო კომპლექსის ეზოში არსებულ საველე ლაბორატორიულ სივრცეში. იგი საჭიროებს შესაბამის მეცნიერულ დამუშავებას, კონსერვაციასა და კვლევას. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ მასალა გადაიგზავნება ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დაბინავების წერილის №03/1740 საფუძველზე.

7. **კონსერვაცია:**

არქეოლოგიური კვლევის მიმდინარე ეტაპის დასრულების შემდეგ, კვლევის უბანი მთლიან პერიმეტრზე შეივსო გათხრების პროცესში მიღებული, ერთგვაროვანი მიწის მასით. აღნიშნული ღონისძიება განხორციელდა გამოვლენილი არქეოლოგიური სტრუქტურებისა და სტრატიგრაფიული ფენების დაცვის, მათი სტაბილურობის შენარჩუნებისა და ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ზემოქმედებით გამოწვეული შესაძლო დაზიანებების პრევენციის მიზნით.

ილუსტრაციები:



სურ. 1. ტოპო გეგმა - 1:500



სურ. 2. ტოპო გეგმა - 1:1000



სურ. 3. არქეოლოგიური გათხრების არეალის კვადრატული ბადე



სურ. 4. არქეოლოგიური გათხრების არეალის ორთოფოტო



1:1



2:2



სურ. 5. დარბაზული ნაგებობის სხვადასხვა სამშენებლო და არქეოლოგიური დონეები. ჭრილი 1:1; 2:2



სურ. 6. გათხრილი არეალის სიმაღლის ციფრული მოდელი (ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით)

სურ. 7. ნაგებობის ჩრდილოეთ კედელში გამოვლენილი კარის ღიობი და მოლესილი იატაკი

სურ. 8. ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ ინტერიერში გამოვლენილი მოლესილი იატაკი

სურ. 9. ნაგებობის აღმოსავლეთი ფასადი: შესასვლელი ორსაფეხურიანი კიბე და პლატფორმა

სურ. 10. ნაგებობის დასავლეთი კედელი

სურ. 11. ნაგებობის დასავლეთი კედელი. ხედი დასავლეთიდან

სურ. 12-13. ნაგებობის დასავლეთ კედელში გამოვლენილი კარის ღიობი და პილასტრი

სურ. 14. ნაგებობის სამხრეთ კედელში გამოვლენილი თარო

სურ. 15. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე მიდგმული ნაგებობის კარის ღიობი

სურ. 16. კულტურული ფენის ზედა ჰორიზონტი, თანამედროვე ჰუმუსის ფენიდან 20 სმ სიღრმეზე

სურ. 17. გათხრილი მონაკვეთის კულტურული ფენის სტრატიგრაფია

სურ. 18. ნაგებობის ჩრდილოეთ კედელში გამოვლენილი კარის ღიობი და მისკენ მიმავალი ქვაფენილიანი ბილიკი

სურ. 19. ნაგებობის აღმოსავლეთი კედელი და კიბემდე მიმავალი ქვაფენილიანი ბილიკი

სურ. 20. გათხრების შედეგად გამოვლენილი სანიაღვრე არხი

სურ. 21. საკირე #1

სურ. 22. საკირე #2

სურ. 23. საკირე #3

სურ. 24. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კერამიკული მასალა



სურ. 25. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კერამიკული ნაწარმი

სურ. 26. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კერამიკული ნაწარმი

სურ. 27. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კერამიკული ნაწარმი

სურ. 28. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კერამიკული ნაწარმი



სურ. 29. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კერამიკული ნაწარმი

სურ. 30. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კერამიკული, სადაფი და ძვლის ნივთები



სურ. 31. არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი კერამიკული მასალა

სურ. 32. კერამიკული ნაწარმი (ქვაბ-ქოთნები)

სურ. 33. მოჭიქული და ფაიანსის კერამიკული ნაწარმი

სურ. 34. მოჭიქული სამშენებლო კერამიკა



სურ. 35. მოჭიქული ბორტიანი კრამიტები



სურ. 36. მოჭიქული ბორტიანი და რარიანი კრამიტები



სურ. 37. სამშენებლო კერამიკა ალათები (სარკმლის)

სურ. 38. მოზაიკის ქვები

სურ. 39. სამეურნეო ორმოში გამოვლენილი *in situ* ფენა

სურ. 40. სამეურნეო ორმოში გამოვლენილი *in situ* ფენა

სურ. 41. სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი არტეფაქტები



სურ. 42. სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის ფრაგმენტები



სურ. 43. სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი სარკმლის ალათის მინისა და თიხის ფრაგმენტები